

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 10

8 მაისი 2018 წელი  
ხაშური

სხდომის თავმჯდომარე- საკრებულოს თავმჯდომარე - მიხეილ ჯანაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ზურაბ ნოზაძე, გიორგი ბერაია, დავით გარადინსკი, ირინე გელაშვილი, ირინე გრიგალაშვილი, შავლეგო დოლიძე, მიხეილ კაპანაძე, ჯონდო კაპანაძე, ნატო კვიციანი, ელზა კვიციანი, ლაშა ლურსმანაშვილი, გურამ მაზიაშვილი, მაყვალა მაისურაძე, დავით მეტრეველი, ემზარ მურჯიკიანი, ცოტნე ნოზაძე, ალექსანდრე სიმონიშვილი, ზვიად ტეფნაძე, აკაკი ჩიტაძე, მერაბ ცხოვრებაძე, მამუკა წიქარიშვილი, ანა ხარებავა, ვაჟა ხარშილაძე.

სხდომას ესწრებოდა: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დავით კვიციანი, საფინანსო სამსახურის უფროსი მარინა გელაშვილი, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი გიორგი ულუმბელაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის N952 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 500 000 ლარი. მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, საჭიროა აღნიშნული თანხა სასწრაფოდ აისახოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში, რათა დროულად დაიწყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვის პროცედურები და სამუშაოს ჩატარება მოესწროს ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე
2. ხაშურის მუნიციპალიტეტის „2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვას: მამუკა წიქარიშვილმა, ი. გელაშვილმა, მიხეილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით დადგენილება მიღებულ იქნა

(დადგენილება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 24, წინააღმდეგი 0)

2. ხაშურის მუნიციპალიტეტის „2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვას: მამუკა წიქარიშვილმა, მ. მაისურაძემ მიხეილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 24, წინააღმდეგი 0)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი